№ 108. მაისის 20, კვირა. 1866—1884 მაისის 20, კვირა. № 108.

თბილისი

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მხლოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე ... განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

«დროების» რედაქცია უმორჩილესად აუწყებს იმ პირთ, რომელნიც ადრესს გამოიცვლიან, რომ რედაქციაში უნდა წარმოადგინონ ან შვიდი შაური, ან ხუთი შვიდ კაპეიკიანი მარკა. (10—2)

საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის კანცელარიაში (ეგზარხოსის მეიდანზე) და სალმთო წიგნების საწყობში, რომელიც იმყოფება სიონის სობოროს ეზოში მღვდელ პეტრიევთან, ისყიდება

დ ა ბ ა დ ე ბ ა

ქართულს ენაზედ, დაბეჭდილი მხედრულის არა ხუცურის შრიფტით; თვითეული წიგნი (ორ ნაწილად) შეკაზმული ყდითა, 6 მან. ეხლა კი მყიდველებს ეძლევათ 1-ლი ნაწილი დაბადებისა და კვიტანცია მისაღებად მეორე ნაწილისა, რომელიც ამ მცირე დროში დაიბეჭდება გასასყიდად და რაზედაცა მყიდველებს ცალკე ეცნობებათ. ქ. თბილისი 1884 წელსა მაისის 14 დღესა. (3—2)

## როგორ უნდა გათავდეს ხიზნების საქმე?

თბილისი, მაისის 20-ს.

ხიზნების საქმის გარჩევის დროს მეტად დიდი ყურადღება მიაქციეს იმ პირობებს, რომელთაც გამოიწვიეს ჩვენში «შეხიზნება» და შექმნეს ხიზნები, როგორც წოდება; დიდი ყურადღება მიაქციეს აგრეთვე იმას, თუ უწინდელ ალაგას, საიდამაც ხიზნები გადმოსახლებულან, ჰქონდათ რაიმე ადგილ-მამული, თუ არა; გააზვიადეს უფლება მამულის პატრონისა, ვითომც მას შეეძლოს თავისუფლად ხიზნის აყრა; წარმოადგინეს რამდენიმე მაგალითი სასამართლოს პრაქტიკიდამ, რომელნიც ძალაში შესულან და მიუციათ ნება მებატონისათვის ხიზნის გადასახლებისა; — ერთის სიტყვით, თითქო ყოვლის მხრით მოუარეს ამ საქმეს, მაგრამ, ნათელის მოფენის მაგიერად, უფრო დააბნელეს იგი და ბოლო ველარ უპოვნეს.

ჩვენის აზრით სულ სხვაფრივ უნდოდა ამ საქმეს მოკიდება, სხვაფრივ იყო საჭირო თითონ საგნის გასინჯვა. მაგ. ამ კითხვაზედ,—შეეძლო თუ არა მებატონეს ხიზნის აყრა მამულიდამ, „ჰოც“ ითქმის და „არაც“. მამული დიაღ მებატონისაა, საკუთრების უფლებაც უნდა ჰქონდეს მას; ამას გარდა, მართლა სასამართლომ ბევრს ხიზანს გადაუწყვიტა ამ უკანასკნელ ხანში მამულიდამ აყრა; მაგრამ ესეც არ არის საქვეო, რომ ჩვეულება არ აძლევდა მებატონეს ნებას ეხმარა ამ გვარი სასტიკი ღონის-ძიება, რადგან ხიზანს ხშირად დიდი ამაგი ჰქონდა მამულზედ და დიდი სამსახური მიუძღვოდა მებატონის წინაშე.

ერთის სიტყვით თეორიულად დიდი ბაასი და სჯა შეიძლება, მაგრამ საქმეს კაცმა პრაქტიკულის თვალით უნდა შეჰხედოს და მაშინ, იქნება იმისთანა გადაწყვეტილებას დავადგეთ, რომელიც ორივე მხარესათვის საკეთილო გამოდგეს.

დიდად მომეტებული ნაწილი ხიზნებისა სდგანან იმისთანა მებატონეების ადგილზედ, რომელთაც უხვადა აქვთ მამული. ეს ადგილები უწინ მიუვალად ითვლებოდენ და ეხლაც კიდევ ძვირად იფიქრებს მებატონე იქ მეურნეობის მოკიდებას და თითონ გარემოებათა წყალობით იძულებულია ეს მამულები სხვას მისცეს სასარგებლოდ; რა პირობებით მისცემს: იჯარით, ხიზნობის წესზედ, თუ სხვაფრივ,—აქ ამაზედ არა გვაქვს ლაპარაკი. აქ გვინდა მხოლოდ ეს დავამყაროთ, რომ მომეტებულს ნაწილს იმ ადგილებისას, რომელნიც ეხლა ხიზნებს უჭირავთ, მაინცა-და-მაინც მებატრონე თითონ ვერ მოიხმარებს, თითონ ვერ მოიკიდებს იქ ფეხს, უნდა სხვას მისცეს იგი და იღოს გარდაწყვეტილი შემოსავალი.

ვისი უფრო უპრიანია ამ მამულების მიცემა?

რასაკვირველია, ხიზნებისა, რომელთაც ოფლი ჩაუღვრიათ ამ მამულში და სარგებლობაც უჩვენებიათ მამულის პატრონისათვის. მხოლოდ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაწყდეს, თუ რა უნდა აძლიონ ამ ხიზნებმა მებატონეს და ამით მოისპოს შემდეგში საგანი ცილობისა და დავიდარაბისა. რამოდენა უნდა იყოს ეს გადასახადი, ეს შეიძლება განისაზღვროს თუნდ იმ გადასახადით, რასაც დროებით ვალდებულნი გლეხნი აძლევენ თავიანთ მებატონეებს.

ამ გვარად ის ადგილი, რომელიც ეხლა ხიზნებს უჭირავთ, ეჭირებათ ისევ იმათვე; მებატონე კმაყოფილი იქმნება, რადგან ყოველ წელიწადს მიიღებს გადაწყვეტილს ღალას, ხიზანი შეიქმნება მამულის მუდმივს მფლობელად, თუ ამ ღალას წესიერად გაიღებს და გამოირკვევა ის საფუძველიც, რა საფუძველზედაც შეეძლება ხიზანს მამულის შესყიდვა, თუ მებატონემაც მოინდომა.

მაგრამ ეს ყველაფერი შეეხება იმ მებატონეთა, რომელთაც იმოდენა მამული აქვთ, რომ ყველგან ხელი არ მიუწვდებათ, ნება-უნებურად უნდა ნაწილი ამ მამულისა მოინარჩუნონ და სხვას გადასცენ სამუშაოდ. მათ გარდა არიან იმისთანა მებატონეენიც, რომელთაც ხიზნები ჩაუყენებიათ თავიანთ მამულში, მაგრამ ეს მამული ისე ცოტა აქვთ, რომ, თუ არ გან-

---

«დროების» ფელეტონი მაისის 20-ს.

### ხალხური ლექსი

ქებითა და დიდებითა
  დავით დაბძანდა ტახტზედა,
ბოქაულები გაგზავნა
  თემსა და ქვეყანაზედა:
—„სადაც რომ ნახოთ ლამაზი,
  მომგვარეთ თვალის წამზედა.
დავითს ასი ცოლი ჰყვანდა,
  სულ წართმეული ძალზედა…
ურიას ერთი ცოლი ჰყავს,
  უმჯობესია სხვაზედა,
წაართვეს, წამოიყვანეს,
  დავითის ბძანებაზედა.
ურია უკან მოსტირის,
  თითბრის ქვას იცემს თავზედა;
მოვიდა, წინ დაუჩოქა,
  ცრემლნი მოსდიოდა თვალზედა:
—«ბატონო, როგორ იქნება
  მგეთი რისხვა ჩემზედა,
პაცს რომ ასი ცოლი ჰყვანდეს,
  არ აკლდეს სათვალავზედა,
ერთს ერთის მეტი არა ჰყავს,
  მას დახაროდეს თავზედა,
რა სამართალი მოელის
  იმის წამრთმეველს ძალზედა?
—ურიავ მაგის სამართალს
  მე ვერ გავაჩენ კაცზედა,
მაგის მომქმედსა ვაჟკაცსა
  მეხი დაეცეს თავზედა!
ზეცამ დასჭექა აგეთი,
  გასქდა ხომალდი ზღვაზედა,
დავით ტახტით გადავარდა,
  ჩავარდა სამოც მხარზედა,
ორმოცი ზეცას გაგზავნეს
  და ოცი ქვეყანაზედა….

---

### ყოვლად პატიოსანო მეგობარო ჩემო ალმასხან!

«შენზე კიდევ ა-ის დარჩენილი ხუთი ფიცი. შაბათს, ამ თვის ოც-და-ცხრას, ერთი მსხვილი საქმეა, რომლის მოგებაც შენს ჩვეულებრივ მოხერხებულს მოწმობაზედ არის დამყარებული. თუ მოვიგე, მაშინ მე და შენ გაქვითებული ვიქნებით და ხელ-ახალ ანგარიშს დავიწყებთ. წინადღით გელი.

მარად და მარად შენი დარისპანი».

ასე მისწერა ერთმა ადგილობრივმა ადვოკატმა ერთს მარად მოწმეთაგანს და თერთმეტიც კიდევ ამისთანა ბარათი სხვა მის ვალდებულ მოწმებს გაუგზავნა. დანიშნულ დღეს, N უეზდის მომრიგებელ-მოსამართლემ ძალიან ადრე გახსნა სამსჯავრო, იმ იმედით, რომ შორეული მთხოვნელები ჯერ კიდევ არ იქნებიან მოსულნიო. ფაცა-ფუცით იწვევდა მომჩივარ მოპასუხეებს და, რადგანაც არ იყვნენ მოსული, ზედი-ზედ სპობდა საქმეებს. იმ დღეს გასარჩევად დანიშნულ სამოც-და-ათის საქმისაგან მხოლოდ ხუთიღა დარჩა, და ისინიც იმისთანები, რომლის გარჩევაც წინადღით კერძოდ აღუთქვა მსაჯულმა, ერთს ანუ მეორე მხარეს. მოჰკიდა ხელი ერთ მათგანს და გამოუძახა ორივე მხარეს. მომჩივრად გამოვიდა ერთი ღრმა მოხუცებული, შეხვეულის თავით და მოპასუხედ კი ახალგაზდა; როგორც ეტყობოდა განათლებული უნდა ყოფილიყო, დრო და ადგილის საკადრისად.

მსაჯული. მომჩივარი ხარ!

მომჩივარი. გახლავარ.

მსაჯული. რა გაქვს სათქმელი?

მომჩ. სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ გამგონი სად არის?…

მსაჯ. აბა მოჰყევით!

მომჩ. (ახველებს) მეფე სოლომონი რომ გადავარდა სათათრეთში და რუსები შემოვიდნენ ჩვენში, მაშინ თორმეტი წლისა ვიქნებოდი.

მსაჯ. მაგას არავინა გკითხავსთ.

მომჩ. მახსოვს, სხვა წესები რომ შემოიღეს ჩვენში. პირველად, რასაკვირველია, გვეძნელა, მაგრამ მერე კი მივეჩვიეთ ნელ-ნელა, მეტი რაღა გზა გვქონდა? მასუკან ბევრმა წყალმა ჩაირბინა. ბევრი ვარანცოვები გვყავდა! უფრო მეტი კიდევ პულუზიაკინები!.. ერთს რომ სცვლიდენ მეორეს აყენებდენ ხოლმე. გვყავდენ მდივანბეგები, ზასედატლები, ნაჩალნიკები და ვინ გინდა—ვინარაები, მაგრამ დღეს რომ ამ ახალი სამართლის ხელში გვემართება, ამისთანა არც ერთხელ არ გადაგვხდია-რა.

მსაჯ. გთხოვთ ნუ გადუხვ-გადმოუხვევთ და იმისთანაზედ ნუ ილაპარაკებთ, რომელიც თქვენს საქმეს არ შეეხება.

მომჩ. ახლა, ბატონო, ერთის მაგიერ, ათასი სხვა-და-სხვა სასამართლოები გვაქვს და არ ვიცით რომელს მათგანს როდის უნდა მივმართოთ. სანამდი ჩვენით გავიგებდეთ, დრო გარბის და ბოლოს გვეკარგება საჩივრის და თუ სხვებს დავეკითხეთ—რჩევაში ისე გვატყუებენ, რომ სულისა და ხორცის მეტი აღარა გვრჩება-რა..

მსაჯ. კიდევ გაგიმეორებთ, რომ საქმეზედ ილაპარაკოთ. მგ წვრილმანი რამეებია.

მომჩ. ჩვენ კი ამ წვრილმანმა გადაგვიტანა-და.

თავისუფლეს ხიზნებისაგან, არ შეუძლიანთ მეურნეობას დაადგნენ და იძულებულნი შეიქნებიან თავიანთ მამულს მხოლოდ შორიდამ უცქირონ. ამათ რომ ხიზნები ისევ ძველებურ პირობებში დაეტოვოთ და ნება არ მიეცეთ მათის აყრისა, ეს მათსავე საკუთარ მამულიდამ განძევებას ეგვანება და არა სამართლიანს გარდაწყვეტილებას. ამ მებატონეებს იქნება უწინ მამულში მუშაობა სამარცხვინოდ მიაჩნდათ, ან ვერ ხერხობდენ, ან სხვაგან უფრო კაი საქმესა შოულობდენ და ეხლა კი იგრძნეს საჭიროება თავიანთ მამულში ჩადგომისა და იქ მუშაობისა. თუმცა შეიძლება, რომ ხიზნებს მათს მამულში ნაკლები ამაგი არა ჰქონდეთ, ვიდრე დიდი მემამულეების ადგილზედ დასახლებულთა, მაგრამ ორს უსამართლობას ისევ უმცირესი უნდა ვამჯობინოთ: ძველს მებატონეს უნდა მიეცეს უფლება მამულის დაბრუნებისა, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ გარდაუხადოს ხაზინს, რაც გაუმჯობესობა მის მამულში მოუხდენია და რის სამაგიეროც ჯერ არ მიუღია. ამ გვარ ხიზნებზედ, რომელთა რიცხვი, ვგონებთ ძალიან ნაკლები იყოს, უნდა იზრუნოს თითონ ხაზინამ და სახაზინო მიწები დაურიგოს.

ჩვენა გვგონია, რომ ამ გვარი გარდაწყვეტილება უფრო პრაქტიკული, უფრო სამართლიანი და უფრო ადვილად შესასრულებელი იქნება, ვიდრე სხვა რომელიმე. უპირატესობა ამისი ის იქნება, რომ სრული მშვიდობიანობა დამყარდება მებატონეებსა და ხიზნებთა შორის და გაადვილდება კიდეც ბატონ-ყმური დამოკიდებულების კვალის მოსპობაც კი მამულების შესყიდვით. საქმის ასე დაყენება, რა თქმა უნდა, ბევრს არ იამება, ბევრს ჯიუტს მამულის პატრონს ათქმევინებს, არა მინდა-რა თქვენი, ჩემი მამული მევე მომეცით, რას მემართლებითო; ჩემს მამულს, მინდა ცარიელს დავაგდებ, მინდა სხვას მივცემ, ოღონდ ხიზანს ნულარ გამაგონებთო, მაგრამ, როცა მთელის სახელმწიფოსათვის საჭირო საქმე სწყდება, იქ ზოგიერთ პირთა ჯიუტობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს და კერძო პირთა სარგებლობა ხშირად უნდა შეიწიროს საზოგადო საქმის სამსხვერპლოზე.

## შინაური ქრონიკა

— ამ დღეებში სცენის მოყვარეთ გაუმართავთ გორში ქართული წარმოდგენა „წერა-კითხვის საზოგადოების“ სასარგებლოდ და წმინდა შემოსავალი ათ-თუმნამდის დარჩენილა.

— ხუთშაბათს, ამაღლება დღეს, გამართული ლოტერეია-ალეგრიდამ ალექსანდროვის ბაღში წმ. ნინოს ზავედენიის სასარგებლოდ, როგორც შევიტყეთ, ოთხას თუმანზე მეტი შემოსულა.

— ერთი კვირის წინად კოჯრის გზაზედ იპოვნეს თავმოჭრილი გვამი ვილაც კაცისა და დიდის ძებნის შემდეგ თითქმის ერთს ვერსზედ იმ ადგილიდამ, სადაც ტანი იყო, თავიც აღმოაჩინეს. ჯერ ვერ შეუტყვიათ ვერც ვინაობა მოკლულისა, ვერც ის, თუ ვინ იყო მომქმედი ამ საზარელი ავკაცობისა.

— ს. კუხიდამ (იმერეთი) გვწერენ, რომ მაისის 5-ს იქ გაუხსნიათ გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა ორის სოფლისა: კუხისა და გუბისა. თუმცა ამ საქმეს ბევრი ხელის-შემშლელი ჰყავდა, მაგრამ მაინც ვერა გაიტანეს-რა და ეს იმედს გვაძლევს, რომ ამხანაგობის საქმე მკვიდრი იქნებაო; ამ იმედს ისიც გვიცხოველებსო, რომ თავ-მჯდომარედ ამხანაგობისა ითვლება ბ. კონსტ. ალშიბაია, რომელიც დაესწრო ამხანაგობის გახსნის დროს და ყოველ-გვარი დახმარება და შემწეობა აღგვითქვაო.

— ჩვენის ქვეყნის ყოველის კუთხიდგან მოგვდის ამბავი, რომ ქართულ საკითხავ წიგნებს ვერსად ვერა ვშოულობთ და როცა დაგვჭირდება, უეჭველად თბილისს უნდა მივმართოთო. ამისთანა ნაკლულევანება ქართულის წიგნებისა ქუთაისსაც კი დასტყობია. კარგი იქნება წიგნების გამომცემელნი მიიღებდენ ზომას, რომ საქართველოს ყოველს ქალაქში იყოლიონ იმისთანა პირნი, რომელთაც ყოვე-გვარი ახალი ქართული წიგნები ეგზავნებოდეს გასასყიდად.

— ს. გომარეთიდამ (ალგულადის ახლო) გვატყობინებენ, რომ იმ მხარეში ყვავილი, ქუნთრუშა და სხვა გადამდები ავადმყოფობა ძალიან მოდებულია თურმე.

## «დროების» კორესპონდენცია

კახეთი. ხშირმა წვიმებმა სწორედ რომ შეგვაწუხეს. ერთი კვირის განმავლობაში დღე არ [illegible], — რომ შხაპუნა ან ხან[illegible] წვიმა არა გვწვეოდეს. ჰხედავთ დილით რომ მშვენიერი დღე სდგას, ქვეყანა გაბრწყინვალებულია; მაგრამ პატარა გადიწევს თუ არა შუადღე, ცივის მთებისკენ წამოიმართებიან შესაზარნი შავნი ღრუბელნი და მალე, ჩვენდა შეუმჩნევლად, მოეფინებიან მთელს ცის კამარას, გაჩნდება შხაპუნა წვიმა და გარეთ მოსიარულე ხალხი, ქორისაგან შეშინებულ წიწილებსავით, იყუჟება თავ-თავიანთ სახლებში. მაგრამ ტაროსი მალე იცვლება, ღრუბლები ადგილს უთმობენ გაზაფხულის მზესა, იწმინდება ცა და ბუნება ისევ თვალცრემლიანი ბავშვივით მოჰყვება ღიმილს. აი, სწორედ ამ დროს არის კაი სანახავი კახეთი და მეტადრე მდ. ალაზნის ველი. დარჩენილი ღრუბლები ბამბასავით გაპენტილან კავკასიის მთის ფერდობებზედ; წვიმის ნამი მარგალიტის ფრად ბჭყვრიალებს მოლაღანე ყანებზედ და მწვანეზედ; მთის ღელეებიდგან ერთი ათად გაეული ხევები მოხუვიან დაქანებულნი დარბაისელ ალაზანში და მასში ჰკარგავენ თავიანთ სიცელქეს.

ყანებსა და საზოგადოდ ქინახულს ჯერ-ჯერობით კაი მოსავლის პირი უჩანს; ვაზი და ხეხილიც უხვს მოსავალს გვპირდება, თუ სეტყვამ გვაცალა როგორმე. ისრე შეშინებულია ხალხი სეტყვისაგან, რომ ქინძისთავის ოდენა ხოშკაკალა რო ჩამოყაროს, მაშინვე ზარებს დაუწყებენ რეკას. ვერც გავამტყუნებთ ამისთანა შიშისათვის, მისი ბედი დამყარებულია მარტო მიწის მოსავალზედ.

საზოგადოდ ჩვენმა გლეხ-კაცობამ

---

მსაჯ. მგეები ყველა აქ უადგილოა.

მომჩ. თქვენი ნებაა, აღარას ვიტყვი. ახლანდელ დროში აღარც საკუთრება აქვს ვისმეს და აღარც პირადი რამ უფლება.

მსაჯ. რაებს ამბობ?!

მომჩ. შეიძლება, რომ მონიჭებული კი გვქონდეს, მაგრამ რომ ვეღარ დაგვიფარავს თავი სხვებისაგან?...

მსაჯ. (გულ-მოსული) მაგას არა გკითხავენ! შენ რასა სჩივი?

მომჩ. როგორ რასა ვსჩივი? შიშით ცოლთან ვეღარ მივდივართ, თუ არ დავეკითხეთ იმ შერჩენებულ კაცებს, ადრე რომ ავაზაკებს ეძახდენ და ციმბირში გზავნიდენ და დღეს... დღეს კი ადვოკატებს უწოდებენ და პატივსა სცემენ.

მსაჯ. თუ სულ მაგრე ილაპარაკეთ, აქედან გაგაყვანიებენ!

მომჩ. რადა შენი ჭირიმე!.. მათავებ ეს არის.

მსაჯ. დროც არის!.. აბა!

მომჩ. ადრე საჭირო იყო, რომ ყოველ კაცს ღმერთი სწამებოდა და დღეს კი მგონია ახალი სამართალი წინააღმდეგია ამისი.

მსაჯ. ახა, ღმერთო! ძიდევ...

მომჩ. აი, ბატონო! ამ ვაჟბატონს (უჩვენებს მოპასუხეზე) ოლქის სამსჯავროში ასამართლებდენ და მე მოწმედ ვიყავი დანიშნული. რამოდენიმე დღის წინად ამან მომიგზავნა მოციქულები და მთხოვა მიმოწმეო. ასი მანათიც შემომაძლია, მაგრამ მე, ჩემო ბატონო, ძველი დროს კაცი ვარ. ახლანდელი განათლებისა არა ვიცირა და ვერ გავბედე ქრისტე ღმერთის გაყიდვა. ამაზედ ბატონო გადამემტერა და ერთხელ შემხვდა გზაში. დამეძგერა გიჟივით, ჩამიდვა ქვეშ—იმდენი მცემა, სანამ სულზედ არ მიმაგდო...

მსაჯ. გარეშ მანდედან დაგეწყო!.... შენ ახლა მაგას გალახვას უჩივი?

მომჩ. აი, ბატონო! თავი მაქვს მაგისგან ქვით გატეხილი. მოკვლას მიპირებდა, მაგრამ ღმერთმა უშველოსთ, სხვებმა გადამარჩინეს.

მსაჯ. ბ. მოპასუხე, გესმისთ? რას იტყვით?

მოპას. მე არაფერი არ ვიცი, ბატონო, ვერცარას მოგახსენებთ! გთხოვთ რომ ჩემ მაგიერ ის ალაპარაკოთ (თითს უშვერს დარისპანზედ, რომელიც იქვე დგას თორმეტის მოწმით მომზადებული და მათ რიცხვში ალმასხანი იჯგიმება. მსაჯული გაჩხრეკას ადგენს, რომლის ძალითაც დარისპანი გამოდის დამცველად).

მომჩ. ბატონო მსაჯულო! მე მაგას ვერ ვიცნობ! არც მინახავს და არც არას ვედავები!...

მსაჯ. ეს მოპასუხის მაგიერად ილაპარაკებს.

მომჩ. კი, მარა რა უნდა სთქვას, რომ იქ არა ყოფილა და იმ საქმისა არა იცის-რა?

მსაჯ. კანონი ნებას აძლევს! (დამცველს) ხომ გესმოდათ? რას იტყვით?

დამ. (ბრიყვად) ტყუილს იგონებს! ცილსა სწამებს! თვითონ გამოუდგა ჩემს მრწმუნებელს... მოკვლა უნდოდა, მაგრამ მოგვხედა ღმერთმა, ფეხი აუსხლტა და დაეცა ქვაზე! თავიც მაშინ გაიტეხა...

მსაჯ. რამ დასცა მთვრალი ხომ არ ყოფილა?

დამ. არა, ბატონო! ბებერია, ძლივს დაღოღავს და რომ აჩქარდა... გამოეკიდა, ფეხები აღარ უვარგა... მაგრამ შეიძლება მთვრალიც კი იყო. მოგეხსენებათ, ბერიკაცებს, საზოგადოდ, ძილი უტყდებათ ღამღამობით და დროს მოსაპარავად ნელ-ნელა ნუნუას ყლაპავენ და გათენებისას გამობრუშულნი არიან ხოლმე.

მომჩ. რაო? რაო? აი შენ კი გაგიხმეს ეგ საძაღლე ენა?!...

დამცველი. ბატონო მსაჯულო! მე გთხოვთ რომ ჩასწეროთ: იგინება!...

მსაჯ. ხომ გესმისთ!... ცუდი სიტყვებისათვის პასუხისგებაში ჩავარდებით!...

მომჩი. მაშ ეგ რაღათ მარცხვენს ამდროულ-კაცს? არა როდის გინახივარ მთვრალი, ჰა?

მსაჯ. კმარა!—დასცხერით! მომჩივარო! მოწმები გყავს? აბა სად არიან, დაუძახეთ!.. (გამოდის ორი მოწამე)

მომჩ. ესენი გახლავან, ბატონო!

ად. ბატონო მსაჯულო! გთხოვთ ეგ მოწმები გადააყენოთ, რადგანაც ჩემს მრწმუნებელთან დავა აქვსთ ერს გზის თაობაზე და მეორეს ძაღლის მოპარვას უჩივის ჩემი მრწმუნებელი.

მომჩ. სულ ტყუილია, ბატონო! გადაყენება უნდა.

დამც. საქმე აქვე წარმოებს!

მსაჯუ. (მოელაპარაკება სეკრეტარს) უფიცრად უნდა ეკითხოსთ. თქვენ, ბ. დამცველო, გყავსთ მოწმები?

დამც. თორმეტი!.. აი, აგერ გახლავან!

მსაჯუ. (მომჩივარს) მოწმების შესახებ ხომ არაფერი გაქვსთ?

მომჩ. არა ბატონო! მაგრამ თუ ხვალამდის გადადებთ საქმეს, მეც მანამდი ავუტეხ რამეს და გადავაყენებ.

მსაჯუ. მაგათ უნდა ფიცით აჩვენონ.

მომჩ. ფიცით! ძალიან ენაღვლებათ! ფიცი მაგათი პურია!.. მე გეტყვი, ძალიანა სწამთ...

კარგად შეიგნო მიწის დიდი მნიშვნელობა, შეიგნო რომ იგია საუკუნო საუნჯე კაცის ცხოვრებისა; და ამ ბოლოს დროს თავ-განწირვით იბრძვის ცოტაც არის მის მოპოვებისათვის. ვისაც ნადელი არა ჰქონია თავის დღეში, ის ეხლა ითხოვს მომეცითო, ვისაც კიდევ აქვს, ის შესყიდვას ეშურება, ყველანი კი ითხოვენ ნებას, რომ შეეძლოთ სარგებლობა სახელმწიფო მამულით, ჭალებით, სახნავებით, საძოვარი ადგილებით და ტყეებით. აი ერთი ამ გვარი მაგალითი:

დიდი ხანია ატეხილია დავა სოფ. საბუის გლეხ-კაცობასა და თ. თ. ჯორჯაძეებს შორის ტყის თაობაზედ. ამ უკანასკნელებს აქვთ საბუის მახლობლად დიდი ტყიანი მთა. ამ ტყის ნახევარს მფლობელობის ძალით ედავებიან მათ საბუელი გლეხკაცები; ამათში ზოგნი საეკლესიონი არიან და ზოგნიც სახელმწიფონი. გლეხკაცებს წამოესარჩლა სახელმწიფო ქონებათა გამგეობა. რაც ეს საქმე სწარმოებს, ოცი წელიწადი მეტია. ოლქის სასამართლოში ხან ერთი მხარე იგებდა, ხან მეორე; ბოლოს ჯორჯაძეებმა გადიტანეს სამოსამართლო პალატაში, პალატამ მათ სასარგებლოდ გარდასწყვიტა; მოწინააღმდეგე მხარემ გადიტანა სენატში, სენატმა დაუბრუნა ისევ პალატას მეორედ განსახილველად. საქმე აქამდის არის ჯერ-ჯერობით მოყვანილი. ჯორჯაძეები თავიანთ მხრით მოქმედობენ ადგილობრივ თელ. სასამართლოში. ამათ კიდეც უჩივლეს აქ გლეხ-კაცობას ტყის გაკაფვისათვის და მით სარგებლობისთვის. მაგრამ უჩივლეს მთელ გლეხობას ერთად კი არა, სათითაოდ, ხუთ-ხუთს-ექვს-ექვს, უფრო მოთავეებს და ამ რიგად ბოლოს გამოვიდა, რომ უჩივლეს მთელ გლეხობას. გამოიტანეს კიდეც „აღმასრულებელი ფურცელი“, რომლის ძალითაც ჯორჯაძეები სთხოვენ გლეხებს ტყით სარგებლობის ფასს 5,000 მან., გაგზავნეს კიდეც სასამართლოს ბოქაული, მაგრამ გლეხები ფულის მიცემაზედ უარს არიან, „ტყეც წაგვერთოსო და ფულიც გადვიხადოთო“, ამბობენ ისინი. ამ სიტყვებით ბოქაულიც გამო სტუმრეს. შემდეგ ამისა გლეხები შეუდგნენ იმას, თუ როგორ აეცილებინათ თავის კისრიდგან ეს ფული. არჩეულნი პირნი გავიდნენ თელავს და პირ-და-პირ იმპერატორთან აპირობდენ ტელეგრამის გაგზავნას და თხოვნას საქმის შეჩერებაზედ, მაგრამ აქეთ-იქიდგან უთხრეს მალე აგერ გუბერნატორიც მოვა აქაო და იმასა სთხოვეთო. მობძანდა გუბერნატორიცა, სხვა მრავალთა სოფლელ გლეხთა შორის მოვიდენ საბუელების წარმომადგენელნიც, აუხსნეს თავიანთი გაჭირვება და სთხოვეს შველა. როგორც გავიგეთ, გუბერნატორს ეთქვა, რას იზამთო, ბილეთებით უნდა ზიდოთ ტყიდგან შეშა თუ სხვა მასალაო, ან არა და შეისყიდეთო.

ამ ნაირ მდგომარეობაში არიან საბუელი გლეხები, ფული ბევრი დახარჯეს კაცების გაგზავნ-გამოგზავნაში, ვერც ტყეს ისაკუთრებენ და გინდ რომ დაისაკუთრონ, მაინც სახელმწიფო გამგეობის ქვეშ იქნება ტყეა, თუ საზალახო და გლეხები «ლესნიჩების» და მათი მოხელეების ხელში ჩასცვივნდებიან; ლამის ის ხუთასი თუმანიც ვერ აიცილონ თავიდგან, რომელიც მათზედ დაუდვიათ.

კასპელი

## წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემულ გაზეთის შემწეობით აცნობოთ «დროების» მკითხველებს, რომ სოფელს კულაშს მცხოვრებმა გნეინა სოფიო მხეიძის ასულმა მიქელაძისამ სასარგებლოდ კულაშის ნორმალური სასწავლებლისა ათამაშა თავის საკუთარი ვერცხლის ნივთები ლოტერეაში და შემოსული ფული — ოთმოცი მანათი შესწირა ზემოხსენებულ სასწავლებელს, რომლისათვისაც უმეტესი ნაწილი კულაშის საზოგადოებისა ვსწირავთ უგულითადეს მადლობას და იმედი გვაქვს, რომ სხვებიც მიბაძვენ ამ კეთილ მაგალითს და სასწავლებელს აღმოუჩენენ რაიმე შემწეობას.

ზედამხედველი კულაშის ნორმალური სასწავლებლისა
მელიტონ ჭიჭინაძე.

## სხვა-და-სხვა ამბავი.

ფინლანდიის ერთს სოფელში საკვირველი მახინჯი დაბადებულა. ეს არის ქალი, ან თუ გნებავთ ორი ქალი, რომელთათვისაც ანნა და ლიზა დაურქმევიათ. ორივეს ცალკე თავები აქვს და ორ-ორი ხელი, და ქვევითი ტანი კი შეერთებული. ორი ფეხი აქვთ თავ-თავის ადგილას, ორივეზე ხუთ-ხუთი თითი, და ამ ორი ფეხის შუა კიდევ მესამე ფეხი, რომელზედაც რვა თითი აზია. შუათანა თითები დანარჩენებზე გძელია. შინაგანი ორგანოები ზოგი სათითაო აქვთ, ზოგი საერთო. სულიერი ცხოვრება გაცალკევებული აქვთ. ზოგჯერ ლიზასა სძინავს და ანნა მღვიძარეა, ან ხანდისხან ანნა ტირის, ლიზა იცინის და სხვ.

«ინგლისელებიც ქრისტიანები არიანო»? უკითხავს ერთ ახალგაზრდა არაბიელს თავის ოსტატისთვის, რომელიც ყორანს უხსნიდა. — «ჰოო, უპასუხა ოსტატმა: მაგრამ მარტო კვირაობითაო, უქმე დღეს კი ურიები არიანო.» (ინგლისელებს კვირა დღე ძალიანა სწამთ და ლოცვაში ატარებენ).

ორი ფილოსოფიის პროფესორი წაიჩხუბნენ რაღაცა უბრალო სამეცნიერო საგანზე და საშინლად შეიძულეს ერთმანეთი. მალე ერთი ამათგანი მოკვდა. ამის მოწინააღმდეგე არ წავიდა იმის დასაფლავებაზედ. ვიღაცამ დააყვედრა ესა. «იმიტომ არ წავედიო, უპასუხა პროფესორმა, რომ მე მარტო იმათ დასაფლავებაზედ დავდივარ, ვისაც იმედი მაქვს, რომ ჩემს დასაფლავებაზე მოვაო». ამ საცოდავს ჰკუა წიგნებში გაჰპარვია.

ეხლა ხანს კელნში მოკვდა დამსახურებული პრუსიის ცენზორი დელლატოლი, რომელიც შემდეგის მოქმედებით იქმნა განთქმული: ამ ორმოცის წლის წინად ერთ ნემეცურ გაზეთში წამალა განცხადება, რომელიც ატყო-

---

დამც. გთხოვთ, შეურაცხყოფას ნუ აძლევთ მოწმეებს!

მსაჯ. დაჩუმდით!.. მღვდელი აქ არის? აბა დააფიცეთ! ადექით ზეზე. (ხალხი ზეზე დგება. მოწმები თამამად აპირობენ დაფიცებას. მომჩივარი უბეში იყოფს ხელს და რაღაცას ეძებს: მსაჯული უყურებს, სწითლდება და სეკრეტარს უჩვენებს. სეკრეტარი ანიშნებს მომჩივარს მივიდეს იმასთან, მაგრამ ის ყურადღებას არ აქცევს: ხატს იღებს უბიდან და სტოლზე ასვენებს ერთად ჯვართან და სახარებასთან. მოწმები ხელებს დაბლა იღებენ. მღვდელი შეკრთება, ადვოკატი აშფოთდება და ხალხი იცინის.

მსაჯუ. რა ამბავია?

მომჩ. არაფერი, ბატონო! თავგი გამოვუხტუნე!

მსაჯუ. რაო?

მომჩ. ხატი დავუდევი ცხვირ-წინ. წმინდი გიორგის ხატი! აბა, ახლა დაიფიცონ ტყუილზე თუ გულს ერჩისთ.

დამც. ბატონო მსაჯულო! კანონით დადებულია ჯვარზე და სახარებაზე ფიცი რუსულად.

მომჩ. კი, მაგრამ რა გენაღვლებათ ჩემი ხატიც მოწამედ დაესწროს, ვენაცვალე მის ძლიერებას!

დამც. ეს ქართული იქნება და არ არის კანონი! მართებლობის წინააღმდეგობა გამოვა! ბატონო მსაჯულო! გთხოვთ ქართული ფიცი ნუ იქნება: უკანონოა! უბძანეთ აიღოს ხატი!..

მსაჯ. აიღეთ!..

მომჩ. რადაო? ვის რას უშლის?

მსაჯუ. ბევრს ნუ ლაპარაკობ... აიღე!..

მომჩ. (იღებს) სულ ერთია! ხელში დავიჭერ!..

დამც. უბძანეთ რომ უბეში ჩაიდვას. კანონი არ არის! ქართული ფიცი წინააღმდეგობაა, ბატონო, მსაჯულო!

მომჩ. აჰა! შეგიფუცხუნათ, ჯერ სად არის!..

დამც. უბრძანეთ... კანონი არ არის!..

მომჩ. თქვენ რა გინდათ ჩემ ხატთან! ისიც ჩემია და ხელებიც ჩემია, მინდა დავიჭერ და მინდა არა... თქვენ ხომ არ ილაღებით.

მსაჯუ. კმარა! მეტს ნულარ ლაპარაკობთ. ჩაიდევით უბეში!

მომჩ. მე მინდა, ბატონო მსაჯულო, რომ ჩემმა ხატმა, ვენაცვალე მის სახელს, კიდეც უყუროს და კიდეც გაიგონოს, თუ რას იტყვიან მოწმები?

მსაჯუ. გთხოვთ დასცხრეთ!

მომჩი. არა, სახუმრო ხატი არ არის. ძალიან სჯრის...

მსაჯუ. დასცხერით! ხელს ნუ მიშლით!..

მომჩი. გამოცდილი ხატია!.. მაგარია... მაგარი... აფართხალებს, ვენაცვალე.

მსაჯუ. ვუბძანებ, რომ გაგიყვანონ გარეთ და უთქვენოდ გავარჩევ საქმეს.

მომჩი. თქვენი ნებაა, მაგრამ იცოდეთ კი, რომ სასწაულთ მომქმედია ეს ჩემი ხატი... ბევრი გაუკურნებია ცრუ-მოფიცარი. — დიდება მის მადლს!

მსაჯუ. უკანასკნელად კიდევ გირჩევთ!..

მომჩი. იშვებს, რომ უგმირავს ხოლმე უხილავად გულში.. ვენაცვალე იმას... და სისხლით გახეთქავს.

მსაჯუ. ბ. პრისტავო. გაიყვანეთ მომჩივარი გარეთ! (მომჩივარი გაჰყავთ. მოწმები თამამად ფიცულობენ და მოპასუხის სასარგებლოდ ანბობენ ერთხმად. შემოჰყავთ ისევ მომჩივარი. მსაჯული განჩინებსა სწერს, რომლის ძალითაც მოპასუხე გამართლდება) (მომჩივარს) თუ კმაყოფილი არა ხართ. შეგიძლიათ იჩივლოთ ოლქის სამსჯავროში, ორი კვირა ვადა გაქვს.

მომჩი. იქაც ასე ასამართლებენ! ამ კანონით?

მსაჯუ. რასაკვირველია!

მომჩი. მაშ გმადლობთ... კმაყოფილი გახლავართ. რაღა შორს ვეთრიო?!. (მსაჯული რამოდენიმე წამით გადის სამსჯავროდან. მომჩივარი გაშტერებული სდგას შუაში).

დამც. (მიდის მომჩივართან) რა მოიგე, შე კაი კაცო! ჰი? აბა ზოგი ახლა ჩვენც გვიყურე! ახლა ჩვენ გიჩივლებთ, რომ სიკვდილი გინდოდა ჩემი მრწმუნებლისა!... ვნახოთ, როგორ გადარჩები!..

ერთი მაყურებელთაგანი მიდის მომჩივართან და ხელს უჩვენებს: ამას ჰხედავ?

მომჩ. „სხვისა ჭირი, ღობეს ჩხირიო“... მანა რას დამცინი?..

მაყურებელი. კი არ დაგცინი, ჭკუა მინდა გასწავლო სიბერის დროს! ხომ ხედავ ამ თითებს? ხუთივეს?

მომჩ. მერე რაო?..

მაყურ. ის რომ დიდი თითი თვითონაა, ეს თითი ადვოკატი. შუა თითი პრისტავი და დანარჩენი ორიც — მთელი კანცელიარია და ყველა ერთად, როცა უნდათ, ასე შერებიან, ა! ვერც ახლა მიხვდი?!. ჯერ უკანა კარებიდან უნდა მოიარო და მერე შემოხვიდე წინა კარებში!..

მაყურებლები. (იცინიან) მართალია! მართალი!..

აკაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბინებდა მკითხველებს, რომ დაიბეჭდა დანტეს «ღვთიური პომედია», ნემეცურ ენაზე გადმოთარგმნილი ფილალეტისაგანაო (საქსონიის მეფის პსევდონიმი). წაშლის მიზეზი ეს მოიყვანა ცენზორმა: «ღვთიურ საგნებს არაფერი კომედია არ შეჰფერისთო».

—

ქერჩის ოლქის სასამართლოში შემდეგი უცნაური საქმე გაურჩევიათ აპრილის 21-ს: ერთს რუსს ერთი სომხისთვის ცხვირი მოუკვნეტია. საქმე ამ ორი წლის წინად მომხდარა. სხედან თურმე ორნივ ერთს სასტუმროში და მეგობრულად ღვინოსა სმენ. რაღაცაზე ლაპარაკი მოუვიდათ. ბოლზე მოსულმა სომეხმა უთხრა: «ჰაი, შე სომხის ჯიშისაო!“ რუსმაც პასუხად „მაიმუნის ჯინშისაო“ უთხრა. სიტყვა-სიტყვაზე მუშტი-კრივამდინ მივიდა საქმე და ამასობაში რუსმა სომეხს ცხვირი მოაკვნიტა (ის კი არა სჩანს საქმიდან, გადაყლაპა თუ გამოაფურთხა). ხუთმა მოწამემ დამტკიცა ესა. თითონ ნაკლის-უფალმა (потерпѣвшій) ტირილით უამბო მსაჯულებს ეს შემთხვევა და მოკვნეტილი ცხვირი 20000 მანეთად დააფასა, რომელიც მითომ წამლობაში დაეხარჯოს. სამსაჯულომ გადუწყვიტა რუსს ათის თვით ციხეში ჩასმა.

—

ხარკოვის გუბერნიაში საკვირველი ავად-მყოფობა აღმოუჩენია ერთ ექიმს. ერთი კაცი მოსულა ამ ექიმთან და შეუჩივლია, მუცელი მტკივაო. ექიმს საჭიროდ დაუნახავს სტომაქის დაცარიელება სრუტუნას (насосъ) შემწეობით. წარმოიდგინეთ ამ ავადმყოფის გაკვირვება, როდესაც ამ ოპერაციის შემდეგ აღნიშნდა, რომ სტომაქში თავ-კვატუშაები (головастикъ) ჰყოლიაო. ექიმის აზრით ეს თავკვატუშაები წყალთან უნდა ჩაჰყოლიყოს.

# ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

მაისის 18.

**მოსკოვი.** აქაურ ოლქის სასამართლოში დაიწყეს გარჩევა საქმისა ქვრივი ს. ნ. ა. ბულახისისა, რომელსაც აბრალებენ იმასა, რომ განზრახვა ჰქონია საპატიო მოქალაქის ქალისთვის ა. ვ. მაზურინისათვის ვნება მიეცა და ამისთვის ფარისევლობას ჩვევდა, მცნობებსა და ნათესავებს არ უშვებდა ამასთან, ავად რომ გახდებოდა, ექიმსა და წამალს არ მოაშველებდა, ერთ ოთახში გამოკეტილი და უველაფერს მოკლებული ჰყავნდა: მოძრაობასაც, წმინდა ჰაერსაც, სისუფთავესაც და რიგიან საჭმელ-სასმელსაც. ცდილობდა გაეგიჟებინა როგორმე, რომ ამ ქალის ქონება იმას დარჩომოდა.

**ნოვგოროდი.** ვალდაის მაზრისა, სოტილოვის სამამასახლისოსი, სოფელ სტინის მცხოვრები, გლეხ-კაცი სამუილი ალექსანდრეს-ძე ვორონოვი, რომელსაც გზის სტოროჟისთვის ჯავრის ამოყრა სდომებია და ამისთვის ნიკოლაევის რკინის გზა წაუხდენია, რის გამოც უბედურება მოხდა,—აქ მოიყვანეს ჟანდარმებით და საიდუმლო სატუსაღოში ჩასვეს.

**ბადენ-ბადენ.** აქ მობძანდნენ: რუსეთის იმპერატრიცა, დანიის დედოფალი, უელსის პრინცესა, დიდი მთავრინა ეკატერინე მიხეილის ასული, დიდი მთავრინა ელენე გიორგის ასული და დანიის პრინცი ვოლდემარი გერმანიის იმპერატრიცის სანახავად.

# განცხადებანი

—

ანდერძის ამასრულებელი (დუშეპრიკაშჩიკი) **მიხეილ აქიმოვისა** იუწყება, რომ ამირალოვის სახლში, სერგიევსკის ქუჩაზე ამ წლის მაისის 25-დამ გაიყიდება ქონება აქიმოვისა, რომელსაც შეადგენენ ვერცხლისა, ოქროსი და სხვა ნივთეულობა. ზაყიდვის დროს უპირატესობა მიეცემათ იმ პირთა, რომელთაც თავიანთი ნივთები მიჰყიდეს აქიმოვს. ზასყიდვა ამ ნივთეულობისა გაგრძელდება

**მხოლოდ სამს თვეს.**

(2—1)

სომხის სასულიერო სემინარიის ნერსესიანის სამზრუნველო რჩევაში

**მაისის 30-ს**

საღამოს 8 საათზედ იქნება

## ვაჭრობა (ტორგი)

ზანუმეორებლად (უპერეტორჟკოთ) **იჯარით გაცემაზედ** იმ მამულისა, რომელიც სემინარიას ეკუთვნის და შესწირა განსვენებულმა არუთინ ოქოევმა რიყეზედ № 44. პირობების ნახვა შეიძლება სამზრუნველოს კანცელიარიაში ყოველ-დღე, გარდა კვირისა და უქმე-დღეებისა, დილის 10 საათიდამ შუადღის 12 საათამდე.

(3—2)

**მჭადლიერი** ახალი მხატვრობით მომავალის სეზონისათვის მიღებული ბლომად და სხვა-და-სხვა გვარი საწყობში ოდესის ფაბრიკის.

მმების ტარნოპოლისა

ლორის-მელიქოვის (ფოსტის) ქუჩა, ზუბალოვის სახლი, სასულიერო სემინარიის პირდა-პირ.

ფასი იგივე, რაც ფაბრიკაზედ 10 გაპეიკიდგან მოკიდებული.

(30—7)

### გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

### კ ა ხ უ რ ი  ღ ვ ი ნ ი ს  პ ო დ ვ ა ლ ი ს ა.

ახლად მივიღეთ დიდი პარტია **ყვარლისა** და წინანდლის საუკეთესო ღვინოებისა. ისყიდება პარტიით და წვრილად: ბოთლი 15 კაპ.—1 მან. თუნგი 60 კაპ.-3 მან.

პოდვალი იმყოფება გოლოვინის ქუჩაზედ, ლეჩებნიცის ქვეშ, წინამძღვაროვის შენობაში.

(2—2) ს. ი. გურდღელოვი.

0000000000000000000000000000000000000000000000

### კ ა ვ კ ა ს ი ი ს  ს ა ვ ა ჭ რ ო  ა მ ხ ა ნ ა გ ო ბ ა

საფთიაქო საქონლისა

თბილისში

მიღებულია **მინერალური წყლები** სამზღვარ-გარეთული და კავკასიისა **ამ გაზაფხულზე შემზადებული.**

ლავაშები (ლეპიოშკები), მარილები სასმელებისათვის და ვანნებისათვის.

ტერმომეტრები ვანნებისათვის.

სხვა-და-სხვა ზომის იარაღები (გაზოჟენები) სელტერისა და შუშხუნა წყლების მოსამზადებელი თავიანთ პოროშოკებით. (70—4)

0000000000000000000000000000000000000000000000

### ი ნ გ ლ ი ს ი ს  მ ა ღ ა ზ ი ა შ ი,

თ მ ი ს-ა მ ო მ ყ ვ ა ნ ი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—30)



მ ა კ-მ ა ს ტ ე რ ი.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან., სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

### ი ვ ე რ ი ი ს  რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ

მიიღება ჯერ კიდევ ხელის-მოწერა ჟურნალს

## „ივერიაზედ“

ფასი მთელის წლით 7 მან., სოფლის მასწავლებელთათვის—5 მან. რამდენიმე სრული ეგზემპლიარი წარსულის წლის „ივერიისა“ უკვე გაიყიდა და ამისათვის მისი დაბარება აღარ შეიძლება. (10—4)

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 16 მაისიდამ 1 ივლისამდე 1884 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— | —1 | გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2\frac{1}{2}$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4\frac{1}{2}$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა— — | —1 | გ. | $2\frac{1}{2}$ |
| ჯვარის-მამი პური: | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | $4\frac{1}{2}$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3\frac{1}{2}$ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 9 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | 8 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 16 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 10 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | — კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | — კ. |

### რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით
თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.
ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.
მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

*Доз. ценз. Тифлисъ, 18 Мая 1884 г.* სტამბა არ. კალანდაძისა და ამხ. გამომც. გ. ქართველიშვილი. რედ. ი. მაჩაბელი.